როგორ იქმნებოდა საქართველო

ნიკოლოზ ხუდადოვი

გაკვეთილის გეგმა უფროსკლასელებისთვის (10 - 12 კლასები)



ავტორი: გიორგი გვასალია

გაკვეთილი მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს საერთო ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა.

2025

გაკვეთილის შესახებ:

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 90 წუთი (2 გადაბმული გაკვეთილი)

შესავალი და გაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის მიზანია ვისაუბროთ სომეხ თანამემამულეზე ნიკოლოზ ხუდადოვზე, როგორც ქვეყნის მრავალფეროვნების გამომხატველ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურაზე, მაღალი სამოქალაქო შეგნების ადამიანზე, გამორჩეულ საზოგადოებრივ მოღვაწეზე და მის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე. ამავდროულად, გაკვეთილის ფარგლებში მოხდება თბილისში არსებული მწვანე სივრცეების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება. ვისაუბრებთ მწვანე რეკრეაციული არეალებისა და მათი როლის შესახებ ქალაქის ცხოვრებაში. ამ ყველაფრის საილუსტრაციოდ ასოციაციური რუკის, თანმიმდევრობის და-ლაგების, ლოტოს თამაშის და პრეზენტაციების დახმარებით განვიხილავთ ნიკოლოზ ხუდადოვის ბიოგრაფიას, საზოგადოებრივ ცხოვრებას და მწვანე სივრცეების აქტუალობას.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები:

1. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან;
2. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად;
3. მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად.

გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები და აქტივობები:

1. კოგნიტური დიაგრამის აგება.
2. ჯგუფური მუშაობა.
3. თანმიმდევრობის დალაგება.
4. რუკაზე მუშაობა.
5. ლოტოს თამაში.
6. ინტეგრირებული სწავლება (გაკვეთილი შეიძლება ჩაატარონ ისტორიისა და მოქალაქეობის
მასწავლებლებმა ერთად, რადგან ორივეს თემებს მოიცავს).
7. პრეზენტაცია.
8. მინი-ლექცია.

სასწავლო მასალა და ინვენტარი:

1. ფურცელი და კალამი;
2. პროექტორი და ლეპტოპი (მასალის ვიზუალიზაციისთვის);
3. წინასწარ გამზადებული ჯგუფური სამუშაოს ბარათები;
4. მაკრატლით ამოჭრილი პატარა სტრიქონის ფორმის ინდივიდუალური სამუშაოს საინფორმაციო ბარათები (თანმიმდევრობის ასაგებად);
5. მობილური Google Map რუკაზე სამუშაოდ.

გაკვეთილის მსვლელობა

ფაზა 1 (10 წუთი) - გაკვეთილის თემის და მიზნის წარდგენა მოსწავლეებისთვის:

პედაგოგი მოსწავლეებს აჩვენებს ნიკოლოზ ხუდადოვის საფლავის ქვას წარწერით რუსულ ენაზე და სთხოვს, თარგმნონ ქართულად და ამის შემდეგ უსვამს კითხვას, თუ რა სმენიათ მის შესახებ, რომელ ქალაქშია საფლავის ეს ქვა და ვინ არის ნიკოლოზ ხუდადოვი ეთნიკურად. მოსწავლეებისგან მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის, მასწავლებელი დაფაზე ხატავს მზის დიაგრამას (ასოციაცურ რუკას), შუაგულში წერს სახელს - ნიკოლოზ ხუდადოვი, ხოლო სხივების გასწრივ მოსწავლეები წერენ პასუხებს (ასოციაციებს). მაგ: სავარუდო პასუხები შეიძლება იყოს: სომეხი, თბილისელი, ტყე, ქუჩა, ექიმი, საზოგადოებრივი მოღვაწე.

ფაზა 2 (20 წუთი) - თანმიმდევრობის დალაგება:

პედაგოგი არიგებს საინფორმაციო ბარათებს, რომელზეც დატანილია თბილისში არსებული მწვანე სივრცეების სახელწოდებები და მათი ფართობები.

- ხუდადოვის ტყე - 100 ჰა
- დენდროპარკი - 96 ჰა
- თემქის ხევის პარკი - 25 ჰა
- ბოტანიკური ბაღი - 97 ჰა
- ვაკის პარკი - 34 ჰა
- მუშტაიდის ბაღი - 16 ჰა
- მთაწმინდის პარკი - 100ჰა
- ძველი ზოოპარკი - 5 ჰა
- ახალი ზოოპარკი - 48 ჰა
- ვერეს ბაღი - 4 ჰა
- ვარკეთილის ხევის პარკი - 3,5
- კრწანისის ტყე-პარკი - 25ჰა
- კიკვიძის ბაღი - 72 ჰა
- დიღმის ტყე-პარკი - 20 ჰა

დავალება:
მოსწავლეებმა უნდა დაალაგონ მწვანე სივრცეები სიდიდის მიხედვით.

სწორი პასუხი:

1. ხუდადოვის ტყე - 100 ჰა (მარცხენა სანაპირო)
2. მთაწმინდის პარკი - 100ჰა (მარჯვენა სანაპირო)
3. ბოტანიკური ბაღი - 97 ჰა (მარჯვენა სანაპირო)
4. დენდროპარკი - 96 ჰა (მარცხენა სანაპირო)
5. კიკვიძის ბაღი - 72 ჰა (მარცხენა სანაპირო)
6. ახალი ზოოპარკი - 48 ჰა (მარცხენა სანაპირო)
7. ვაკის პარკი - 34 ჰა (მარჯვენა სანაპირო)
8. თემქის ხევის პარკი - 25 ჰა (მარცხენა სანაპირო)
9. კრწანისის ტყე-პარკი - 25ჰა (მარჯხენა სანაპირო)
10. დიღმის ტყე-პარკი - 20 ჰა (მარჯვენა სანაპირო)
11. მუშტაიდის ბაღი - 16 ჰა (მარცხენა სანაპირო)
12. ძველი ზოოპარკი - 5 ჰა (მარჯვენა სანაპირო)
13. ვერეს ბაღი - 4 ჰა (მარჯვენა სანაპირო)
14. ვარკეთილის ხევის პარკი - 3,5 (მარცხენა სანაპირო)

• პედაგოგი მოსწავლეებს აძლევს დავალებას, დაალაგონ მწვანე სივრცეები 2 სვეტად - მარცხენა და მარჯვენა სანაპიროების მიხედვით.

• პედაგოგი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას, რომ მარცხენა სანაპიროზე ცხოვრობს თბილისის მოსახლეობის 65%, ხოლო მარჯვენაზე - 35% და სვამს კითხვას, რამდენად პროპორციულად არის განაწილებული მწვანე სივრცეები სანაპიროების მიხედვით?

• პედაგოგი აძლევს დავალებას მოსწავლეებს Google Map რუკაზე მობილურში იპოვონ ხუდადოვის ტყე.

ეტაპი 3 (15 წუთი) - მინი-ლექცია:

პედაგოგი ატარებს მინი-ლექციას თბილისისთვის მწვანე სივრცეების მნიშვნელობაზე. კერძოდ, იგი საუბრობს, რომ ქალაქი განლაგებულია მდინარის ვიწრო ხეობაში ტერასულად, სადაც ჰაერის ცირკულაცია გართულებულია. ევროპული ქალაქების სტანდარტით, მწვანე სივრცეების მინიმალური ზღვარი უნდა იყოს 20%-ს; თბილისის შემთხვევაში ეს არის 5%, ხოლო ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარზეა. მთავარი დამაბინძურებელი მანქანის გამონაბოლქვია, რის შედეგადაც ქალაქში ონკოლოგიური დაავადებების რიცხვი გაზრდილია. ვინაიდან მანქანის გამონაბოლქვი ყველაზე მეტად წარმოდგენილია ჰაერის მასების დაბალ არეალში, რომელიც, ძირითადად, ბავშვების სამოძრაო სივრცეა, შედეგად ყველაზე მეტად ამ მოწამლულ ჰაერს სუნთქავენ პატარები.

ურბანული სივრცე არის სტრესული. ცნობილია, რომ ბუნება დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქოგოლოგიურ და ემოციერ მდგომარეობაზე.

ჯანმრთელობისთვის, ასევე, სასარგებლოა სწორი კვება და მოძრაობა. ქალაქში მცხოვრები ადამიანისთვის აუცილებელია ხარისხიან მწვანე სივრცეებთან ყოველდღიური წვდომა. ხუდადოვის ტყეს ხშირად უწოდებენ მარცხენა სანაპიროს ფილტვებს, ვინაიდან, მისი ფართობიდან გამომდინარე, ხდება თბილისის ჰაერის ჟანგბადით გამდიდრება.

პედაგოგი, ასევე, საუბრობს არაქართველების უდიდესი წვლილის შესახებ საქართველოში ბაღებისა და პარკების გაშენებაში. თანამედროვე აღმაშენებლის გამზირზე არსებული ილიას ბაღი, არტოს ბაღი და ჯანსუღ კახიძის ბაღი XIX საუკუნეში გერმანელი კოლონისტების მიერ გაშენებული მწვანე სივრცეებია. მათი უნიკალურობა გამოიხატება იმაში, რომ ეს ბაღები მდებარეობს არა ქუჩის განაპირად, არამედ უბნის შიდა ეზოშია შეფარული. თუ ქართველები ბაღებს განიხილავდნენ თავის დროზე მხოლოდ საქეიფო ადგილად, გერმანელმა კოლონისტებმა შემოიტანეს ბაღებში კულტურული დასვენების ტრადიცია.

მუშთაიდის ბაღი თბილისის უძველესი ბაღია. იგი 1830-იან წლებში გაშენდა. ბაღის დაარსება სპარსეთის ერთ-ერთ თვალსაჩინო რელიგიურ მოღვაწეს აღა-მირ-ფათაჰს და მისი ქართველი მეუღლის სახელს უკავშირდება. ფეთეხ-აღა ირანის აზერბაიჯანში შიიტების რელიგიური ლიდერი - მუჯთაჰიდი იყო. სწორედ მისი სასულიერო წოდებისგან წარმოდგა ბაღის სახელიც - მუშთაიდი.

1845 წელს კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის ბრძანებუ-ლებით, თბილისის ბოტანიკური ბაღი დაარსდა და მისი მოვლა-პატრონობა თავად კავკასიის მეფისნაცვალმა იკისრა. საინტერესოა, რომ 1913 წლამდე ამ ბაღში არც ერთი ქართველი არ მუშაობდა. 1917 წლის რევოლუციამდე ბოტანიკური ბაღის განვითარების, კეთილმოწყობის, ტერიტორიის გაფა-რთოვების და აქ სამეცნიერო მუშაობის გაშლისთვის დიდი ღვაწლი გაიღეს სწავლულმა მებაღემ შარერმა, იაკობ მედვედევმა, თბილისელმა გერმანელმა ადოლფ ქრისტიან როლოვმა. ამ მეცნიერებმა ბოტანიკური ბაღი ნამდვილ სამეცნიერო ასპარეზად გადააქციეს.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი დაარსებულია რუსი მეცნიერის ანდრია კრასნოვის მიერ, ხოლო ბათუმის ბულვარი - ფრანგი მიხეილ დ'ალფონსის მიერ.

შოტლანდიელი იაკობ მარის (ნიკო მარის მამა) ხელმძღვანელობით გაშენდა ქუთაისის ბოტანიკური ბაღი.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მშენებლობისთვის ქალაქ ტრიესტიდან მებაღედ მოიწვიეს იტალიელი ჯოზეფ ბაბინი.

მეორე გაკვეთილი - ფაზა 4 (25 წუთი) - ლოტო თამაში:

მოსწავლეები, შემთხვევითობის პრინციპით (პედაგოგი არიგებს სხვადასხვა ფერის კანფეტებს და ფერის მიხედვით მოსწავლეები ერთიანდებიან ჯგუფებში), ერთიანდებიან 4 კაციან ჯგუფებში. თითოულ ჯგუფს პედაგოგი აძლევს ფურცელს, რომელზეც 10 ფოტოა წარმოდგენილი. პედაგოგს აქვს ნიკოლოზ ხუდადოვის საქმიანობაზე შედგენილი 15 საინფორმაციო ბარათი. ნიკოლოზ ხუდადოვის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს შეესაბამება მოსწავლეებთან დარიგებული სურათები. პედაგოგი ამოიღებს, შემთხვევითობის პრინციპით, ნებისმიერ საინფორმაციო ბარათს და წაიკითხავს მის შინაარსს. მოსწავლე-ებმა უნდა დააკავშირონ მოსმენილი ინფორმაცია მათთან არსებულ რომელიმე სურათთან და მონიშნონ შესაბამისი ნომრით. იგებს ის გუნდი, რომელიც პირველი დაიძახებს სიტყვა ბინგოს და სწორედ შეავსებს 10 სურათიან საკუთარ ფურცელს. **მაგალითად:**

საინფორმაციო ბარათი N8:

ნიკოლაი ხუდადოვი უსასყიდლოდ კურნავდა ღარიბ პაციენტებს, ხოლო ვისაც შეეძლო თანხის გადახდა, სთხოვდა, ამ ფულით მის ტყეში ხეები დაერგოთ. ასეთი გზით გაშენდა ხუდადოვის ტყე.

ამ საინფორმაციო ბარათის ნომერი 8 უნდა ჩაწერონ ამ სურათის ქვეშ.

N8

სრული მასალის სანახავად **იხილეთ თანდართული სამუშაო მასალა**

ფაზა 5 (15 წუთი) - პრეზენტაციის მომზადება:

გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს პრეზენტაცია, რომელშიც პირორიტეტულად უნდა დაალაგონ 3 ამბავი, რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი გააკეთა ნიკოლოზ ხუდადოვმა.

ფაზა 6 (5 წუთი) - რეფლექსია და გაკვეთილის შეჯამება

• ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის მოკლე მიმოხილვა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება.

• მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად და რის გაკეთება შეგვიძლია ბავშვებსა და უფროსებს ამისათვის.

საშინაო დავალება:

ხუდადოვის გვარის ასოების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა დაახასიათონ ეს პიროვნება. მოსალოდნელი პასუხი:

ხ - ხალხზე მზრუნველი
უ - უკეთილშობილესი
დ - დარბაისელი
ა - ალტრუისტი
დ- დიდსულოვანი
ო - ორიგინალური
ვ - ვალიდური
ი - იღბლიანი

მიღებული ცოდნის გამტკიცების მიზნით შეიძლება ჩატარდეს სპორტული ორიენტირების შეჯიბრი ხუდადოვის ტყეში.

შეფასება:

• დისკუსიაში და ჯგუფურ სავარჯიშოებში მონაწილეობა;
• პრეზენტაციის წარდგენის ხარისხი და თემასთან შესაბამისობა;
• ანალიზის სიღრმე საშინაო დავალებაში.

საინფორმაციო ბარათი N1:

ექიმი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ავადმყოფთა და უპოვართა მფარველი ნიკოლოზ ალექსის ძე ხუდადოვი დაიბადა 1850 წელს გორში, ინტელიგენტის, სომხური წარმოშობის ოჯახში.

N1

ქალაქი გორი

საინფორმაციო ბარათი N2:

1870 წელს ნიკოლოზ ხუდადოვმა დაამთავრა თბილისის I კლასიკური გიმნაზია. შემდეგ იგი პეტერბურგის საგზაო მიმოსვლის ინსტიტუტში სწავლობდა, მალევე პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში გადავიდა, რომელიც 1876 წელს დაასრულა.

N2

თბილისის კლასიკური გიმნაზია

საინფორმაციო ბარათი N3:

ნიკოლოზ ხუდადოვი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად იყო ჩართული სამედიცინო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1880-იანი წლების ბოლოს იგი ექიმად მუშაობდა ხევსურეთში და 1890 წელს ამ კუთხის შესახებ ეთნოგრაფიული ნაშრომი გამოაქვეყნა რუსულ ენაზე.

N3

შატილი (ხევსურეთი)

საინფორმაციო ბარათი N4:

N4

1881 წლიდან ნიკოლოზ ხუდადოვი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ნამდვილი წევრი და სხვადასხვა საკითხზე პუბლიცისტ-ურ წერილებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში. მათ შორისაა პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობისა და საგლეხო რეფორმის ნაკლოვანებების შესახებ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

საინფორმაციო ბარათი N5:

1890-იან წლებში ნიკოლოზ ხუდადოვი თბილისის საქალაქო საკრებულოს ხმოსან წევრად აირჩიეს. როგორც ექიმი, ნიკოლოზ ხუდადოვი უსასყიდლოდ უწევდა კონსულტაციას ქალაქის ღარიბ მოსახლეობას. მან არაერთხელ დააყენა საკითხი ქალაქის თვითმმართველობის მიმართ, რომ გაუმჯობესებულიყო ქალაქის სანიტარული მდგომარეობა და მუშათა სამუშაო პირობები.

N5

თბილისის საკრებულოს ისტორიული დარბაზი

საინფორმაციო ბარათი N6:

ერთ-ერთი უდიდესი საქმე, რაც ხუდადოვმა გააკეთა, არის 1893 წელს თბილისის განაპირას, ნაძალადევის ტერიტორიაზე, კუკიის მახლობლად, საკუთარი სახსრებით გაშენებული ტყე-პარკი, რომელიც მის სახელს ატარებს. მიწის ნაკვეთი მას უსასყიდლოდ გადასცა თავადმა ქალმა დანდუროვამ საკუთარი ქალიშვილის სიკვიდილისგან გადარჩენისთვის მადლიერების ნიშნად. ტყის მასივის გაშენება ხუდადოვს სურდა, რომ ქალაქის მოსახლეობის ღარიბ მოსახლეობას ჰქონოდა დასვენებისა და გართობის საშუალება. პარკის საზეიმო გახსნა 1896 წელს მოხდა. 40 ჰექტარზე გაშენებული ტყე დიდი ხნის განმავლობაში საუკეთესო პარკი იყო დედაქალაქში, რომელიც თამამად უწევდა მეტოქეობას მუშტაიდს და ორთაჭალის ბაღებს. აქ ფუნქციონირებდა თოჯინების თეატრი (პირველი ქალაქში) სახალხო თეატრი, იდგა საქანელები და ატრაქციონები, სავაჭრო დახლები.

N6

ხუდადოვის ტყის დაარსება

საინფორმაციო ბარათი N6:

პროფესიით ექიმი ნიკოლოზ ხუდადოვი ნაძალადევში მდებარე ტუბერკულოზის დაავადებულთა საავადმყოფოსაც ხელმღვანელობდა და უნდოდა, კლინიკის გარშემო ჰაერი გაჯანსაღებულიყო, ამიტომაც მთის ფერდობების გამწვანება გადაწყვიტა. მის ინიციატივას ნაძალადევში მცხოვრები მუშები გამოეხმაურნენ. მოგვიანებით ტყე რევოლუციონერი მუშების საყვარელი ადგილად ქცეულა. ალბათ, ამის გამოა, რომ დღემდე ხუდადოვი ბევრს რევოლუციონერი ჰგონია.

N7

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი

საინფორმაციო ბარათი N8

ურბანული ლეგენდის მიხედვით, ნიკოლოზ ხუდადოვი უსასყიდლოდ კურნავდა ღარიბ პაციენტებს, ხოლო, ვისაც შეეძლო თანხის გადახდა, სთხოვდა, ამ ფულით მის ტყეში ხეები დაერგოთ. ასეთი გზით გაშენდა ხუდადოვის ტყე.

N8

ხეების დარგვა ხუდადოვის ტყეში

საინფორმაციო ბარათი N9

ხუდადოვის ტყე-პარკს აქვს პოტენციალი, შექმნას მთაწმინდის ანალოგი მარცხენასანაპიროზე. ტყე-პარკიდან შესანიშნავი პანორამული ხედი იშლება. აქედან კარგად ჩანს მთელი მარჯვენა სანაპირო , რომელიცმხატვრული ღირებულებით გაცილებით აღემატება მარცხენას. ჩანს მთაწმინდა, ნარიყალა და ძველი თბილისი.



პანორამული ხედი ხუდადოვის ტყიდან

N9

საინფორმაციო ბარათი N10

ხუდადოვის ტყის ნარგავების 60%-ს შეადგენს ფიჭვი. ფიჭვნარი თავის მხრივ გამოირჩევა ყველაზე სუფთა ჰაერით, ვინაიდან შეიცავს მიკრობების მინიმალურ რაოდენობას, შთანქავს მტვერს და ტოქსიკურ აირებს.

ფიჭვნარი

N10

საინფორმაციო ბარათი N11

1893 წელს თბილისში სახალხო წარმოდგენების გასამართად შექმნილ სცენისმოყვარეთა წრეს ნიკოლოზ ხუდადოვი დიდი აღტაცებით შეხვდა და 1892 წელს ქალაქის გამგეობას, ხოლერობის დროს, ავჭალის ქუჩაზე მდებარე საჩაიე დაათმობინა, სადაც საფუძველი ჩაეყარა ხალხურ თეატრს. იგი ხელს უწყობდა მუშა-ხელოსანთა გათვითცნობიერებასა და ხალხში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას, თბილისის გაჯანსაღებას.

სახალხო თეატრი **N11**

საინფორმაციო ბარათი N12

ნიკოლოზ ხუდადოვი ქალაქის ღარიბი მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ ატარებდა კონსულტაციებს, საჯარო ლექციებს, ხელს უწყობდა უფასო სასადილოებისა და სამკითხველოების, მუშებისთვის საკვირაო სკოლების დაარსებას.



საჯარო ლექცია **N12**

საინფორმაციო ბარათი N13

თბილისში ხუდადოვის სახელს მტკვრის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე გაშენებული ქუჩა (გადასასვლელი ხიდიდან ზემოთ, ლოტკინისკენ მიმავალი) ატარებს. ქუჩა გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წელს შედგენილი ქუჩების სიაში შეტანილია, როგორც რემონტის ქუჩა. მას ერთხანს ნიკოლოზ ხუდადოვის სახელი ერქვა. 20-იან წლებში ისევ რემონტის ქუჩა ეწოდა. 50-იან წლებში დაუბრუნდა ძველი სახელი.

ხუდადოვის ქუჩა **N13**

საინფორმაციო ბარათი N14

ხუდადოვის ტყის "საძმო სასაფლაო" ერთგვარ ბოლშევიკურ პანთეონად გადაიქცა. აქ დროდადრო ასაფლავებდნენ აქტიურ, თუმცა, არა ლიდერ ბოლშევიკებს. 1989 წელს ხუდადოვის ტყის სასაფლაოზე მაღალი რანგის ბოლშევიკებიც დაკრძალეს, უფრო სწორედ გადაასვენეს მთაწმინდის პანთეონში შევიწროვებული და საფლავაფეთქებული ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სილიბისტრო თოდრია.



ბოლშევიკური პანთეონის შესასვლელი **N14**

საინფორმაციო ბარათი N14

ბეტონის ობელისკი, რომელიც თბილისის ყველა უბნიდან ჩანს, წარმოადგენდა შოთა რუსთაველის სახელობის მუზეუმის ერთ-ერთ ნაწილს, რომლის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1966 წელს. შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოხდა სამუზეუმო კომპლექსის პროექტის მომზადება და მისი მშენებლობა. მშენებლობისათვის შეარჩიეს ხუდადოვის ქუჩის ბოლოს არსებული ადგილი. პროექტის ავტორები იყვნენ ნოდარ ჯობაძე და ალექსანდრე ბაქრაძე. ობელისკის გარდა მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა აშენებულიყო მუზეუმი, ამფითეატრი და მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალი პანთეონი. 40 მეტრის სიმაღლის ობელისკში უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის სიმბოლური საფლავი. მოგვიანებით გამოვიდა საკავშირო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, თანხების დაზოგვის მიზნით, იკრძალებოდა მონუმენტების მშენებლობა. თითქმის 50 წლის უფუნქციობის შემდეგ, ობელისკს ახალი ცხოვრება მიეცა. იგი გადაკეთდა საცოცკედლად, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ივარჯიშოს.

ლოტკინის ობელისკი

N15

დასაბეჭდი მასალა (სამუშაო ფაილები და ფოტოები) სრულად შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე.